№ 225
ოთხშაბათი, 21 ოქტომბერი, 1898 წ.

გაზეთის ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10—	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1898

ივერია

№ 225
ოთხშაბათი, 21 ოქტომბერი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა ჰარასკევს, 23 ოქტომბერს.

ხუთშაბათს, 22 ოქტომბერს, გარდახდილ იქმნება ორმოცის წირვა განსვენებულის

ზაქარია დიმიტრის ძის გაბაშვილის

სულის მოსახსენებლად, დილის 10 საათზედ, ნიკოლოოზის ეკკლესიაში, ვერაზე; ხოლო წირვის შემდეგ გარდახდილ იქნება პანაშვიდი ვერის სასაფლაოზე. განსვენებულის დედა **თინათინა ზაქარიას** ასული და და **ბარბარე** დიმიტრის ასული, აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთ, სთხოვენ მათ მობრძანდნენ დანიშნულ დროს წირვასა და პანაშვიდზე.

პანსიონი და სასწავლებელი

ვ. ა. გრინოვისა

(ქ. დრჟევიცა-კოვაჩისა)

იღებს ორივე სქესის ყმაწვილებს სრულ და ნახევარ პანსიონერებად და აგრეთვე გარედამ მოსიარულეებსაც საშუალო სასწავლებლების დაბალ კლასებში მოსამზადებლად.

ადრესი: მოსკოვის ქუჩა, № 11 (Московская ул., № 11).

(3—153—3)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ც. მ ჩაქიაგანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. $1\frac{1}{4}$—$2\frac{1}{4}$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ზ. ა. ნავასარდიანი—$6\frac{1}{2}$—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(წ)

ახალი ამბავი

⁂ საიმპერატორო მატარებელი, რომელშიაც მათი იმპერატორებითი უდიდებულესობა დედოფალი იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული ბრძანდებოდა, 18 ოქტომბერს 8 საათზედ ბათუმიდგან ბორჯომში მოვიდა. გზაზედ რკინის გზის სადგურები მშვენივრად იყო მორთული ყვავილებითა და დროშებით, ხალხი ყველგან აღტაცებითა და სიხარულით ეგებებოდა ძვირფასს სტუმრებს. განსაკუთრებით ბევრი ხალხი ხაშურში შეგროვდა, სადაც მისმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ დედოფალმა კეთილ ინება და ერთს პაწია ქალს ოქრო აჩუქა. ბორჯომის სადგურზედ იმპერატრიცას მიეგებნენ დიდნი მთავარნი მიხეილ ნიკოლოოზის ძე და გიორგი მიხეილის ძე, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი კ. ი. მუხრან-ბატონი, ტფილისის გუბერნატორი და სხვანი. თ. კ. ი. მუხრან-ბატონმა მის იმპერატორებითს უდიდებულესობას მშვენიერი თაიგული მიართვა. ბორჯომი საუცხოვოდ იყო მორთული და გაჩირაღდნებული. დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის სასახლეში გამართულ უმაღლესს სადილზედ მიწვეულ იქმნენ: კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. კ. ი. მუხრან-ბატონი, ტფილისის გუბერნატორი თ. ა. ბიკოვი, პოლკოვნიკი სვეჩინი. სადილის შემდეგ მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი გამოემშვიდობა მისს უდიდებულესობას და ტფილისში წამოვიდა. 19 ოქტომბერს, დილის 10 საათზედ, დედოფალი იმპერატრიცა აბასთუმანს წაბრძანდა. მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა გზაზედ ლიკანს შებრუნდა, სადაც დიდი მთავარი ნიკოლოოზ მიხეილის ძე ინახულა. გზაზედ აუარებელი ხალხი მის იმპერატორებით უდიდებულესობას „ვაშა"-ს ძახილით ეგებებოდა. („კავკასი").

⁂ იმავე დღეს, 19 დეკემბერს, ბორჯომიდგან ბათუმში წაბრძანდა მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოოზის ძე დიდის მთავრის გიორგი მიხეილის ძითურთ. ხაშურში დიდს მთავარს მთელის ამ დაბის მცხოვრებელნი დიდის აღტაცებით მიეგებნენ. „ვაშა"-ს ძახილს დასასრული არა ჰქონდა. რკინის გზის სადგურზედ გამწკრივებული იყვნენ რკინის გზის სასწავლებლის მოსწავლენი. ყვირილაში მისის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის წინაშე წარსდგნენ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გენერალ-მაიორი გერშელმანი, შორაპნის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი აბაშიძე, მომრიგებელ-შუამავალი თავ. ერისთავი, ხოლო რიონის სადგურზედ—გენერალ-ადიუტანტი უგანათლებულესი თავადი გრიგოლ დადიანი. ბათუმში საიმპერატორო მატარებელი საღამოს $8\frac{1}{2}$ საათზედ მივიდა. დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე უავგუსტოესის შვილის გიორგი მიხეილის ძითურთ გადაბრძანდა „შტანდარტის" გემზედ, რომელიც ღამის 3 საათზედ წავიდა ბათუმიდგან, („კავკასი").

⁂ კავკასიის მთავარ მართებელი, გენერალ ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი 19 ოქტომბერს ბათუმიდგან ტფილისში დაბრუნდა.

⁂ კავკასიის მთავარ-მართებელმა, გაზ. „კავკასის" სიტყვით, არ დაამტკიცა ტფილისის ქალაქის საბჭოს დადგენილება ცხენის რკინის გზის გამოსასყიდად 200 ათასის მანეთის სესხის აღებისა და ყოველ წლიურად უსახელო საზოგადოების სასარგებლოდ 115 ათასის მანეთის გადახდის შესახებ.

⁂ პრინცს ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგელს, რომელიც, უმაღლესის ბრძანებით, იმიერ-კასპიის მხარეს მიდის, ბათუმში დღეს, 21 ოქტომბერს, მოელოდებიან.

⁂ ფრანგნი-მოგზაურნი ბარონი დე-ბაი და კრაფტი ხვალ, 22 ოქტომბერს, საქართველოს სამხედრო გზით მოსკოვსა და პეტერბურგს მიდიან.

⁂ წმ. ნინოს დედათა საქველმოქმედო საზოგადოების საბჭომ, 10 ოქტომბერს, კრებაზედ დაადგინა: შუამდგომლობა აღძრას იმის შესახებ, რომ თელავის წმ. ნინოს სასწავლებელი გადაკეთებულ იქმნას დედათა პროგიმნაზიად.

⁂ ტფილისის ცხენის რკინის გზის დირექტორს ბ ნ რობის გუბერნატორთან საჩივარი შეუტანია ქალაქის გამგეობაზედ, რომ ჯერ ცხენის რკინის გზის გამოსყიდვის ნება არ მიუღია და მოსამსახურეებს-კი იბირებს და გულს უცრუებსო. ბ-ნი რობი სთხოვს გუბერნატორს

ფელეტონი

მეცნიერების აზრი საზოგადოების უვარგის წევრთა შესახებ

ჭკუა-გონების განვითარების-თანავე ადამიანს ზნეობრივი სიდიადეც დაეტყო: ეს უმთავრესად გამოიხატვის ავადმყოფთა და უძლურთა ზრუნვით, მათის მდგომარეობის გაუმჯობესობით, იმისის ცდით, რომ სუსტთ და უძლურთ ცოტაოდნად მაინც შეუმსუბუქდეთ არსებობის ბრძოლის სიმკაცრე და ტანჯვა. დღეს ყოველს განათლებულს სახელმწიფოში სცდილობენ შეამცირონ სხვა-და-სხვა გვარი ავადმყოფობა, აარსებენ სახლებს, სადაც სნეულთ და უძლურთ შეუძლიანთ თავი შეაფარონ, სცდილობენ გააუმჯობესონ ხალხის სანიტარული მდგომარეობა, საქველმოქმედო საზოგადოებათ-კი საგნად აქვთ, ღარიბებს ქონებრივი დახმარება აღმოუჩინონ.

დავრდომილთა პატრონობამა და ზრუნვამ ჩვენს დროში ფრიად შესამჩნევად იმატა; ეს, ვიმეორებთ, მხოლოდ ჩვენის ზნეობრივ გრძნობის განვითარებას უნდა მიეწეროს, მით უმეტეს, რომ მეცნიერებაში დღემდის მაინც ამ საგნის შესახებ სულ სხვა აზრისა არიან. საუკეთესო მეცნიერთ, რომელთა შორის დავასახელებთ ეკონომისტს მალტუსს და ბიოლოგს დარვინს, თავიანთ თხზულებაში სრულად უარ ჰყვეს სუსტთა და უძლურთა ზრუნვა და ლმობიერება.

მალტუსის გამოანგარიშებით, ადამიანთა რიცხვი ოც-და-ხუთის წლის გალმავლობაში ერთი ორად მრავლდება, თუ რომ რაიმე ცუდმა გარემოებამ, როგორც მაგალითად, ომმა, შიმშილმა, სხვა-და-სხვა გამანადგურებელმა გადამდებმა სენმა, ხელი არ შეუშალეს; ადამიანთა რიცხვი ჰმატულობს გეომეტრიულის თანდათანობით, ხოლო საკვებავი ნივთიერებანი-კი—არითმეტიკული თანდათანობის. თუ რომ ხალხის რიცხვი ჰმატულობს უფრო მეტად, ვიდრე საზრდო, მაშინ ამ გვარი მდგომარეობა დიდ უბედურებად უნდა ჩაითვალოს, რადგან ამ უთანასწორობას სიმშილით გაწყვეტა მოსდევს.

ხოლო საზოგადო ქველმოქმედებას, სანიტარულ გაუმჯობესებას და ღარიბთათვის ზრუნვას, მალტუსის აზრით, არამც თუ სარგებლობა არ მოაქვთ, არამედ დიდი ვნებაც. ჩვენ ვეხმარებით დავრდომილებს, ავადმყოფებსა და ღარიბებს, მერე-კი ესენი ირთავენ ცოლებს და ამით ამრავლებენ თავიანთ მგზავსს უვარგისს წევრებს; ამ მეცნიერის აზრით, საჭიროა შემცირება ბავშვების გაჩენისა, რომ ამით ხელოვნურად შევაჩეროთ ადამიანთა რიცხვის ზრდა, მაშინ საზრდო ყველას საკმარისი ექმნება. ცოლის შერთვის ნება უნდა მიეცეთ მხოლოდ იმათ, რომლებსაც საკმარისი ღონის-ძიება აქვთ, ღარიბები-კი მოკლებულნი უნდა იყვნენ ცოლ-შვილიანობის ბედნიერებას,—მალტუსს ბევრი სხვა მეცნიერიც დაეთანხმა, რომ ქორწინებისა და დაბადების დიდი რიცხვი არ არის ხალხის კეთილ-დღეობის ნამდვილი მაჩვენებელი, მაგრამ ამასთან იმასაც დასძენენ, რომ ის შიში, რომელიც გამოწვეულია მალტუსის თეორიით, გაზვიადებულია: ადამიანთა რიცხვის გამრავლება და საკვებავ ნივთიერებათა რაოდენობა ისეთს ურთი-ერთობაში არ არის, როგორსაც ეს მეცნიერი ასახელებს; როგორც ხალხი მრავლდება, ამის თანახმად იმათი საზრდოც მატულობს. საზრდო საკმარისი იქნებოდა ყველასთვის, რიგიანად რომ იყოს განაწილებული, თუ რომ ყველას არ ჰყოფნის, ამისი მიზეზი უთანასწოროდ განაწილებაათ.

აქვე უნდა დავსძინოთ, რომ გარდამეტებული სურვილი ბავშვების გაჩენის შემცირებისა საშიშია სახელმწიფოსთვის: მაგალითად, დღეს საფრანგეთის მთავრობა ძლიერ ჩაფიქრებულია იმის გამო, რომ დაბადებულთა რიცხვი ძლივს ჰფარავს იმავე ხნის განმავლობაში გარდაცვლილთა რიცხვს, ასე რომ საფრანგეთის ერის რიცხვი თან-და-თან ჰკლებულობს.

ამ გვარ სამწუხარო მოვლენას საფრანგეთში, სხვათა შორის, იმითი ჰხსნიან, რომ იქაური ძუნწი ბურჟუაზია ყოველ ღონის ძიებას ჰხმარობს არ ეყოლოს ორ-სამ შვილზედ მეტი, რომ თითოეულს მათგანს მეტი ქონება დარჩეს.

უფრო მკაცრის აზრისა არის დარვინი: ვისაც არა აქვს ღონისძიება ააცდინოს თავისს შვილებს სიღარიბე, ცოლი არ უნდა შეირთოსო, ამბობს დარვინი, რადგან ასე დაუფიქრებლად ცოლის შერთვით უფრო მეტად ვრცელდება სიღარიბე, რომელიც უმთავრესი მიზეზია ყოველ ბოროტებისაო; მეორეს მხრივ თუ ნიჭიერნი და წინდახედულნი კაცნი უნაყოფონი დარჩებიან, ხოლო უნიჭონი და ღარიბნი-კი შეირთავენ ცოლებს და გამრავლდებიან, ამით ნიჭიერნი განდევნილ იქმნებიან უნიჭოთა უმრავლესობითაო. ადამიანმა, როგორც სხვა დანარჩენებმა სულიერმა არსებამ, დარვინის მოძღვრებით, თავის განვითარებას მიაღწია არსე.

აუკრძალეთ ქალაქის გამგეობას ასეთი უკანონო მოქმედებაო. გუბერნატორმა შეიწყნარა ეს თხოვნა.

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ უმეტესი ნაწილი იმ ცხენებისა, რომელიც ქალაქის გამგეობის წევრს ქ. ი. ვერმიშევს უყიდნია, ტფილისის ცხენის რკინის გზისათვის გამოუსადეგარი და დაწუნებული გამოდგარა.

⁂ ორშაბათს, 19 ოქტომბერს, ქალაქის საბჭოს კრება არ შესდგა, რადგანაც კანონიერი რიცხვი ხმოსნებისა არ შეიკრიბა.

⁂ 22 ოქტომბერს, ტფილისის მისიონერის მეორე ეკკლესიაში წირვასა და პარაკლისს გარდაიხდის მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე. წირვის დასაწყისას, დილის 9 საათზედ მისი მეუფება ექსარხოსი კუკიის ალექსანდრე ნეველის ეკკლესიაში მიბრძანდება და შეიმოსება, შემდეგ აქედგან მისი მაღალ ყოვლად-უსამღვდელოება ლიტანიით ყაზანის ღვთის მშობლის ტაძარში წაბრძანდება, სადაც წირვა იქმნება გარდახდილი.

⁂ 18 ოქტომბერს ბათუმში ქალაქის საბჭოს ხმოსნების არჩევანები მოხდა. არჩევანებს სულ 323 ამომრჩეველი დაესწრო. ყუთი 104 კაცმა დაიდგა. არჩეულ იქმნენ: ი. გ. მურომოვი (253 თეთრი), ტ. პ. ტრიანდაფილიდესი (240 თ.), ა. პ. ვაკიე (234 თ.), თავ. მ. მ. ნაკაშიძე (199 თ.), ა. ა. ხოჯამიროვი(197თ.), ი. მ. ხუდადოვი (196 თ.) პ. სიმონოვი (196 თ.), გ. ე. ელიავა (193 თ.), პანაიოტი სიმეონიდი (189 თ.), გ. ა. პალმი (188 თ.), ლ. იუ. პოდოლეცკი (186 თ.), რ. ფ. გუნდრიზერ (186 თ.), ვ. ფ. გრიელსკი (184 თ.), ნ. ა. საბაშვილი (184 თ.), მ. ტ. მიხაილიდი (181 თ.), თავ. დ. გ. მაჰუტაძე (181 თ.), ნ. ა. დუმბაძე (180 თ.), ე. ა. ბოგოსლოვსკი (180 თ.), ი. ზ. გედევანიშვილი (178 თ.), ფეზლი-ბეგ აბაშიძე (178 თ.), ი. ს. პარუნ-ბეგოვი (173 თ.), ა. დიმიტრიადი (170 თ.), კ. პ. სიმულოვი (169 თ.), ს. ს, ტარუმოვი (168 თ.), დ. ი. ბარათაშვილი (168 თ.), ზია ბეგ-აბაშიძე (167 თ.). კ. ა. სევერინი (165 თ) სულ 27 კაცი. ამათში 4 მკურნალია, 3 ბანკის დირექტორი, 2 ხე-ტყის მწარმოებელი, 2 ნავთის-მწარმოებელთა წარმომადგენელი, 2 მემამულე, 2 სანაოსნო სავაჭრო ამხანაგობათა წარმომადგენელი, 1 ჟურნალისტი, 2 აფიცერი, 1 პედაგოგი, 1 იურისტი, 1 ჩინოვნიკი, 6 ვაჭარი. ქალაქის მოურავმა ლ. ასათიანმა ყუთის დადგმაზედ უარი განაცხადა. არ იქმნენ არჩეული, სხვათა შორის, ექიმი ვოლსკი და ივანოვი.

⁂ ბაღოსანთა კრების მე-10 სექციამ სხდომაზედ, სხვათა შორის, დაადგინა შუამდგომლობა აღძრას იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას: ტფილისში—მეაბრეშუმეობის სკოლა, ოძისში—საშუალო სასოფლო სამეურნეო სასწავლებელი მევენეობისა და ხეხილეობის განყოფილებით, კახეთში—მევენეობის სასწავლებელი, ერევანში—სასოფლო-სამეურნეო სადგური და ეკატერინოდარში—საშუალო სასოფლო სამეურნეო სკოლა. ამას გარდა კრებამ ის აზრი წარმოსთქვა, რომ კავკასიის ყველა სასოფლო-სამეურნეო სკოლები მიწადმოქმედების სამინისტროს უნდა ექვემდებარებოდესო.

⁂ შინაგან საქმეთა სამინისტრომ „კავკასიის“ სიტყვით, მოიწონა კავკასიის უმაღლესის მთავრობის განკარგულება ტივებზედ დადებულის გარდასახადის გაუქმების შესახებ.

⁂ „კავ.“-ს სწერენ, რომ გორის ზოგიერთ ამომრჩეველთ აზრადა აქვთ კავკასიის უმაღლესს მთავრობას საჩივარი მიართვან ამას წინად მომხდარ არჩევნებზედაო.

⁂ **დუშეთი.** 17 ოქტომბერს აქ ერთი უბედური შემთხვევა მოხდა. აქ მდგომი დრუჟინის აფიცერი და მისი სახლობა მოიწამლა სოკოთი. თვითონ აფიცერი და მისი შვილი წუხელ გარდაიცვალნენ, ცოლი, ორი ბავშვი და მოსამსახურე, სიკვდილის პირს არიან. სოკო, რომლითაც ეს საბრალოები მოიწამლნენ, 15 ამ თვეს მოუტანია მოსამსახურეს ტყიდგან, იმავე დღეს მოუხარშავთ და მთელს სახლობას უჭამნია სადილად. რადგანაც სადილის შემდეგ თავი ყველას ცუდათ უგრძნია, მაშინვე ექიმ გაბაშვილისთვის უცნობებიათ, მაგრამ ამ საბრალოებს ვერც ექიმმა რამე უშველა და ვერც წამლებმა. ცოტა რამ იმედი მხოლოდ მოსამსახურის მობრუნებისაა, რადგანაც ამას ეს შხამიანი სოკო ყველაზე ცოტა უჭამია.

⁂ 18 ოქტომბერს, ნაშუადღევის 1 საათზედ, რაჭის მაზრის მცხოვრებმა ექვთიმე გუგუშვილმა, 15 წლ., მიხეილის ქუჩაზედ დანა დასცა მუცელში თავისავე ბიძაშვილს სიმონ გუგუშვილს. ამის მიზეზი, როგორც ამბობენ, სიმონ გუგუშვილის მიერ ექვთიმე გუგუშვილის ძმის მოკვლა ყოფილა. ამ მკვლელობის გამო სიმონ გუგუშვილი დაპატიმრებული ყოფილა და მხოლოდ ამ ბოლოს დროს გაუნთავისუფლებიათ თავმდებობით. სიმონ გუგუშვილი საავადმყოფოში გაგზავნეს. ექიმების აზრით იგი მძიმეთ არის დაჭრილი. დამნაშავე ექვთიმე გუგუშვილი შეიპყრეს და მცირე წლოვან დამნაშავეთა ახალშენში გაჰგზავნეს.

⁂ 19 ოქტომბერს ორთაჭალაში, მტკვარში იპოვნეს გვამი ვიღაც კაცისა, რომელიც, როგორც ეტყობა, ორი-სამი თვის დამხრჩვალი უნდა იყოს. გვამი მიხეილის საავადმყოფოს საანატომიო განყოფილებაში გაგზავნეს.

⁂ გამოვიდა ჟურნალ მოამბის მე-VI ნომერი. შინაარსი ამ ნომრისა: კორიოლანოს.—ხუთ მოქმედებიანი ტრაგედია, უილიამ შექსპირისა, თარგმანი თ. ი. მაჩაბლისა. სიყვარული.—ამბავი ვ. ტონელლისა, თარგმანი ი. ა—ძისა. ნამდვილი სამსახური.—ი. პოტაპენკოსი, თარგმანი ეფროსინე კლდიაშვილისა.—ლექსი, შ. მღვიმელისა. დაუსრულებელი რომანი—მარკ ტვენისა, თარგმანი [illegible]—გსი.—შენიშვნები სოციალიზმზედ.—გუსტავ ლებონისა, თარგმანი ი. ფანცხავასი,—ეტიუდები ქართულის ლიტერატურიდან.—წერილი მეოთხე: თ. ი. ჭავჭავაძე. კიტა აბაშიძისა.—ნოყიერი და გემრიელი ნივთიერებანი.—პროფ. რ. ვირხოვისა, თარგმანი ს. ენუქიძისა. გურია-აჭარა.—მგზავრის წერილები, თავი XIII და XIV თ. სახოკიასი.—ძველი ხელთნაწერები.—ვ. ბარნოვისა.—ცხოვრება და მწერლობა.—განდეგილი. ლექსები 1898 წ. მე გახლავარისა.

—

შეცდომის გასწორება. წარსულ შაბათს დაბეჭდილ ბ-ნ ქიქოძის წერილში დაბეჭდილია „ჰიოტეს სიტყვები“; უნდა იყოს: „გეტეს სიტყვები“.

◆

მდგომარეობა მართლ-მადიდებლობისა საქართველოს საექსარხოსში

ამ სათაურით არის დაბეჭდილი ჟურნალს „Церковныя Вѣдомости“-ს ამ წლის № 36-ში უწმიდესის სინოდის ობერპროკურორის 1894 და 1895 წლების ანგარიშიდგან ცნობები მართლ-მადიდებელთა სარწმუნოების მდგომარეობაზედ საქართველოს ეპარქიებში. ეს ცნობები მეტად საყურადღებოდ მიმაჩნია და ამიტომ ვბედავ განვუზიარო იმ ნაწილს ქართველ საზოგადოებას, რომელსაც არა აქვს შემთხვევა ამ ცნობების წაკითხვისა.

„საქართველოს საექსარხოსოს მართლ მადიდებელი სამწყსო შესდგება ოთხის ეპარქიისაგან: ქართლ კახეთისა, იმერეთისა, გურია-სამეგრელოსი და სუხუმისა,—რომელშიაც სცხოვრობენ სხვა-და-სხვა ხალხოსნობის ერნი: რუსები, ქართველები, ოსები, მეგრელები, აბხაზები, პშავლები, ხევსურები, თუშები და სხვა-და-სხვა წვრილმანი ერნი და, მათ გარდა, ბერძნებიც. ყველა დასახელებულ ერთაგანს აქვს თავისი გადმოცემანი, მემკვიდრეობით შეთვისებული ჩვეულებანი, რომელთა ზეგავლენით შესდგა მათი ცხოვრება, ხასიათი, ზნეობრივი შეხედულობანი ცხოვრების სხვა-და-სხვა გარემოებათა გამო პოლიტიკურისა, ტოპოგრაფიულისა და სხვანი, აგრეთვე ზეგავლენით წარმართების, მაჰმადის, ებრაულისა და მწვალებელთა სარწმუნოებისა. ამ მიზეზთა გამო ძალიან ძნელია ამ ხალხების სარწმუნოებრივისა და ზნეობითის სახის საზოგადოდ დასურათხატება და აღწერა, ამიტომ საჭიროა თითოეულის მათგანის სარწმუნოებრივ ზნეობითის მდგომარეობის ცალ-ცალკე აღწერა.

1. **რუსები.** სარწმუნოებ-ზნეობის მხრივ მაღლა სდგანან ყველა იმ დანარჩენ ხალხზედ, რომელნიც სცხოვრობენ საქართველოს საექსარხოსში; ისინი დიდის გულის მოდგინებით დადიან ტაძრებში, მეტი ცოდნა აქვთ სარწმუნოების ჭეშმარიტებათა, საღმთო აღთქმათა, დიდის პატივით ეპყრობიან სასულიერო წოდების კაცთ, არ იშურებენ შრომით ნაშოვნს გროშს ღვთის ტაძართა საჭიროებისა და გამშვენებისათვის. საზოგადოდ რუსები უფრო ეტანებიან განათლებას და უფრო მორჩილნი არიან, მაგრამ ამ მოსაწონს ხასიათთან, სამწუხაროდ, რუსის ხალხში მოიპოვება არა მოსაწონი თვისებანიც, მაგალითად: რუსი მალე ეჩვევა სიზარმაცეს და უქმს ცხოვრებას, ქეიფს და ამის გამო იძენს სხვა-და-სხვა ბიწიერებას; იგი მალე ითვისებს ყოველს ახალს, ამის გამო ემორჩილება სხვა-და-სხვა მწვალებელთა მავნე სწავლასა.

2. **ქართველები.** სარწმუნოებრივ-ზნეობრივად რუსებთან შედარებით ძალიან უკან არიან ჩამორჩენილნი; იშვიათად დადიან ეკკლესიებში, არა აქვთ გულ-მოდგინება ტაძრების გამშვენებისა შესაწირავებით, ნაკლებად აქვთ სურვილი აღსარებისა და წმიდა ზიარების მიღებისა და თითქმის არც-კი იცნობენ მართლ-მადიდებელთა სარწმუნოების სწავლა-მოძღვრებასა.

3. **ოსები.** თუმცა ამ უკანასკნელ წლებში უკეთესობა დაეტყოთ მათ სარწმუნოებრივ-ზნეობრივად, მაგრამ ჯერ სრულიად არა აქვთ შეთვისებული სწავლა ქრისტეანულის ცხოვრებისა და ამიტომ მათი სარწმუნოება წარმოადგენს ნარევს ქრისტეს სწავლისას წარმართთა აზრებთან; ქრისტეს სარწმუნოების გარეგანი მხარე შეითვისეს მხოლოდ, აზრი მისი-კი სრულიად არა; ყველა მათგანი მიიწვევს მღვდელს ბავშვის მოსანათლავად, სახლის გასანათლავად, ავადმყოფის საზიარებლად, ჯვარის საწერად, მაგრამ ეკკლესიაში-კი არ დადიან და სულ მცირე წვლილსაც არ სწირავენ. ოსები უფრო ხშირად სალოცავად მიდიან დაპურულს ხის ქვეშ, ან მიუვალს კლდეზედ ზვარაკის შესაწირავად, ამ ადგილებს წარმართთა დროიდგან პატივს სცემენ, მოაქვთ აქ საჭმელ-სასმელი, აკურთხებენ სამსხვერპლო პირუტყვს, ჰკლავენ და გაიმართება ხოლმე საერთო მეჯლიში; ოსებს კარგი ჩვეულებანიც აქვთ; ურთიერთის შემწეობა უბედურს შემთხვევაში ფულითა და სულადით, დასაფლავება ულარიბესთა მეზობელთა საზოგადო ხარჯით, სიყვარული და პატივისცემა მღვდლისა და საზოგადოდ უფროსებისა და წახალისება სწავლაზედ ბავშვებისა.

4. **აბხაზები და მეგრელები.** სარწმუნოებას ძალიან გულ-ცივად ეპყრობიან და არც ერთმა მათგანმა პი-

---

ბობის ბრძოლით, რომელიც წარმოსდგა მის მსწრაფლ გამრავლებისაგან; თუ რომ ადამიანს ჰსურს უფრო მეტად წინ წასვლა, მუდმივ მკაცრ არსებობის ბრძოლაში უნდა იმყოფებოდეს. თუ ბრძოლა შესწყდა, ადამიანთა განვითარება შეჩერდება. ადამიანთა შორის მუდმივი ცილაობა უნდა იყოს; კანონმა და ხალხთა ჩვეულებამ არ უნდა შეუშალოს ხელი ნიჭიერთა გამარჯვებას და მათ შთამომავლობის გამრავლებას.

ამ გვარივე აზრი წარმოსთქვა დარვინის ნიჭიერმა თანამოაზრემ Haeckel-მა. ეს მეცნიერი ამტკიცებს, რომ სულიერთა და მცენარეთა შორის მხოლოდ მცირე რიცხვი უძლებს სავსებით არსებობისათვის ბრძოლას, უმრავლესობას-კი არა აქვს საკმარისი ძალ-ღონე და ადრე თუ გვიან იღუპება. მკაცრი და ულმობელი ბრძოლაა არსებობისათვის ქვეყნად, ამას ვერავინ ვერ უარ-ჰყობს. სააქაო მეჯლისზედ წვეულნი ბევრნი არიან, ხოლო ღირსეულნი-კი ძალიან მცირეო.

მაშასადამე, დარვინის და იმის თანამოაზრეთა მოძღვრებით ბრძოლა არსებობისათვის საჭირო ყოფილა ადამიანთა წინმსვლელობის და განვითარებისათვის; ამისგან არის დამოკიდებული სხვა-და-სხვა ტომთა განკარგება. გაუმჯობესება ეტყობა არა მარტო ადამიანის სულიერსა და ზნეობრივ თვისებათ, არამედ იმისს გარეგანს აგებულებასაც: ადამიანს მეტი ძალ ღონე ეძლევა წინააღუდგეს სხვა-და-სხვა გვარ მავნე და ცუდ გარემოებას, რომელთა შორის იგი სცხოვრობს.

ამგვარი აზრი დღეს ძლიერ მკაცრად და გადაჭარბებულად მიაჩნიათ. თუ რომ ბრძოლა არსებობისათვის და ბუნებრივი შერჩევა ერთად-ერთი საშუალებაა ჩვენის გაუმჯობესებისა, მაშ უნდა დავიცვათ ის ხელოვნური და მასთან ბარბაროსული შერჩევა, რომლითაც ჰხელმძღვანელობდნენ ძველად სპარტელები: ამ ხალხს ჩვეულებად ჰქონდა, როგორც-კი დაიბადებოდა მახინჯი და სუსტი ბავშვი, ისეთს ადგილას გადააგდებდნენ, რომ რომელსამე ნადირს შეეჭამა. სუსტისა და მახინჯ ბავშვების დახოცვა ჩვეულებად ჰქონდათ ამერიკის ინდიელ ხალხთაც.

მკითხველს გავაცანით მეცნიერთა აზრი საზოგადოების სუსტ და უძლურ წევრთა შესახებ. დღეს-კი ამგვარ მეცნიერულ აზრებს აღარა აქვთ ძალა. ჩვენის დროის განათლებულნი ერნი, პირ-იქით იმასა სცდილობენ, რომ უძლურთ ტანჯვა შეუმსუბუქონ, ესარჩლებიან სუსტებს და საზოგადოთ იმათ, რომლებსაც არა აქვთ ძალა არსებობის ბრძოლის გაძლოლისა. ამას ჰმოწმობს სხვა და სხვა კანონი, საქველ-მოქმედო დაწესებულება ყოველის განათლებულ სახელმწიფოსი. ჰიგიენასა და მედიცინას ფრიად თვალ-საჩინო ადგილი უჭირავთ სუსტ არსებათა მფარველობის საქმეში. თუ ზემოდ დასახელებულ მეცნიერთა მოძღვრება სავსებით შევიწყნარეთ, მაშინ ჩვენი კაცთმოყვარეობის მისწრაფებანი სრულიად უსარგებლო ყოფილა კაცობრიობისათვის. ნუ-თუ უსათუოდ საჭიროა მართლა სუსტთა გაჟლეტა ჩვენის წინ-მსვლელობისა და განვითარებისათვის? ნუ-თუ სააქაო ბედნიერება ხვედრი უნდა იყოს საზოგადოების მცირე ნაწილისა?

საბედნიეროდ, უმრავლესობა დღეს ამისი წინააღმდეგია. დიდად საეჭვოა, რომ სუსტთა და დავრდომილთა შველამ შეაჩეროს ხალხის გაუმჯობესება და წინ-მსვლელობა. ამგვარი დახმარება მოუტანს სარგებლობას არა თუ მარტო უვარგისს წევრებს საზოგადოებისას, არამედ კიდევ უფრო მეტად გააუმჯობესებს იმათ ცხოვრებასაც, რომლებიც კარგ გარემოებაში იმყოფებიან. ძლიერ ბევრს სწამს, რომ მერმისში ბრძოლა არსებობისათვის დაჰკარგავს თავის მკაცრ ხასიათს; მეცნიერის უელესის აზრით, როდესაც სოციალური მდგომარეობა გაუმჯობესდება, მაშინ ბრძოლა ადამიანთა შორის უფრო შესუსტდება, ქალთა მდგომარეობა უფრო გაუმჯობესდება, ეკონომიურად დამოუკიდებელნი შეიქმნებიან, მაშასადამე, ქმრის შერთვის დროს უფრო მეტს არჩევანში შევლენ: ავადმყოფებს, ფიზიკურად და გონებრივად მახინჯებს აღარ გაჰყვებიან ცოლად, უფრო საუკეთესოებს ამოირჩევენ ქმრებად. ამ გვარად, ხალხი გაუმჯობესდება იმით, რომ უვარგისი წევრები უნაყოფოთ დარჩებიან. შესაძლოა მერმისში სახელმწიფომ აღუკრძალოს ცოლის შერთვა ფიზიკურად და გონებრივად მახინჯებს. ამას გარდა, შევისწავლით სალის შვილების გაჩენისათვის ზრუნვას და ამ გვარად, განვაკარგებთ ხალხს ფიზიკურადა და სულიერად თან და თან გაუმჯობესდება შთამომავლობა. მაშინ წინმსვლელობას აღარა დააბრკოლებს-რა, ბრძოლა დაჰკარგავს თავისს წინანდელს მნიშვნელობას: მაშინ Haeckel-ის სიტყვები, რომ სიკვდილით დასჯას დიდი მნიშვნელობა აქვს სქესის გაუმჯობესობის საქმეშიო, რადგან უვარგისნი სრულიად ისპობიან ქვეყნადაო, სრულიად უარ-ყოფილ იქმნება.

ექიმი ბადრიძე

◆

რველ-დაწყებითი ჭეშმარიტებანიც სარწმუნოებისა არ იცის, ეკკლესიებში იშვიათად დადიან; აღსარებისა და ზიარების მოვალეობას გულ-მოდგინედ არ ასრულებენ. 1895 წელში, როგორც აღსარებითის სიებიდგან აღმოჩნდა, სოხუმის ეპარქიაში 59225 აბხაზ და მეგრელთაგან არ შეუსრულებიათ მოვალეობა აღსარებისა და ზიარებისა 28437 სულს— თითქმის ნახევარს. ამას გარდა აბხაზებს არეული აქვთ მაჰმადის და წარმართთა სწავლა სარწმუნოებაში, მაგალითად: თაყვანისცემა მუხის ხეებისა, მათ მიმართ მსხვერპლის შეწირვა, მოხსენება მიცვალებულთა, რომელიც მდგომარეობს მეჯლიშსა და გამოტირილში და არავითარი სარწმუნოების ნიშან-წყალი არ ატყვია. მართლ-მადიდებელნი აფხაზნი კორწინებასაც ძალიან სუბუქად ექცევიან. ქალწულთა ქალთა ყმაწვილის კაცებისაგან გატაცებას და მათთან უკანონოდ ცხოვრებას, ხშირად ახლო ნათესავებთანაც-კი, აფხაზთა შორის შეადგენს მკვიდრს ჩვეულებას: ველურის და უზნეო ჩვეულებათაგან აფხაზთა შორის უნდა ჩაითვალოს სისხლის ძიება და ცხენის ქურდობა, რომელიც დანაშაულად არ მიაჩნიათ, ეს საქციელი ვაჟკაცობად აქვთ მიჩნეული, ხოლო სისხლის ძიება საღმთო ვალად.

5. ფშავლები, ხევსურები და თუშები და სხვა წვრილმანი ხალხის ნობანი, რომელნიც შეადგენენ მართლ-მადიდებელ მკვიდრთ საქართველოს საექსარხოსოისას, განირჩევიან თვისის ზნე-ჩვეულებათა კადნიერებითა. ყოველგვარი ბიწიერებანი, მაგალითად: ქურდობა, ლოთობა, ფიცის გატეხა, სისხლის ძიება, ქალთა მოტაცება, ჯავრის ამოყრა დამკვიდრებულია მათ შორის; სარწმუნოების მხრივ ძალიან ნაკლები ცვლილება ეტყობათ წარმატებისაკენ; დღევანდლამდის ხელ-შეუშლელია მათში: პირუტყვთა შეწირვა ბომონებში, რწმენა მკითხავებისა, პატივისცემა ხევის-ბერებისა—მოხუცებულებისა, უქონლობა წმინდა ხატებისა სახლებში და სხვა არა მოსაწონი მოვლენანი მართლ-მადიდებელთა შორის.

„ყოველ ზემო-აღწერილიდგან სჩანს, რომ სარწმუნოების მხრივ საქართველოს საექსარხოსოს მართლ-მადიდებელი სამწყსო არა სანატრელს და სასიამოვნო ყოფაშია; ამას უშველის მხოლოდ სამრევლო-საეკკლესიო სკოლები; მაგრამ, როგორც ჰმოწმობს უსამღვდელოესი ექსარხოსი, სამწუხაროდ, სამღვდელოება, სასულიერო წოდება ამ საქმისათვის ძალიან ნაკლებად არის მომზადებული; მიზეზი ამისი ის არის, რომ 1) სასულიერო წოდებაში ნაკლებად არიან განათლებულნი და 2) ნივთიერის მხრივ არ არის იგი უზრუნველყოფილი. რამდენად დაბლა სდგას სამღვდელოება განათლებით, იქიდგანა სჩანს, რომ ერთი მესამედი საქართველოს ეპარქიის სამღვდელოებისა, რომელიც სხვა ეპარქიებთან შედარებით მაღლა სდგას (მაგ. გურია-სამეგრელოს ეპარქიაში $^{1}/_{20}$ განათლებულთა მღვდელთა)., სრულიად მოკლებულია განათლებასა, ანუ მიუღია იგი ორი-სამის წლის განმავლობაში დაბალს სასწავლებელში, და შემდეგ მომზადებულა მონასტრებში, ან თვით სამრევლოებში, სადაც უმსახურნია ეკკლესიის დარაჯობიდგან მოკიდებული მღვდლის ხარისხამდე; ამ უკანასკნელ ხარისხამდე აღწევდნენ არა თვისის თავის განვითარებით, არამედ წირვა ლოცვის წესდების პრაქტიკულის შესწავლით. ამიტომ ამისთანა სამღვდელოებას არ ძალ-უძს მოძღვრება, სწავლება ხალხისა, მათი სარწმუნოებრივი განვითარება და მავნე ზნე-ჩვეულებათა აღმოფხვრა მათ შორის. ყოვლად სამღვდელო ექსარხოსმა მიჰმართა სამღვდელოებას მოწოდებით, რომ სიყვარულით და ერთსულობით შესდგომოდა სამღვდელოება თვისის სამწყსოს სწავლა-დარიგების საქმეს, მაგრამ მისი მამობრივი მოწოდება დარჩა უნაყოფოდ, ან-კი რა საკვირველია, როდესაც სამღვდელოებას დავიწყებული აქვს თავისის განვითარების საქმე, იგი სიღარიბის გამო მუდამ ლუკმა პურისათვის ფიქრობს. „რამდენად ღარიბია სასულიერო წოდება ჩემის საბლაღოჩინო ოლქისაო, ამბობს ერთი ბლაღოჩინი საქართველოს ეპარქიისა, ეს იქიდგანა სჩანს, რომ რამდენიმე მღვდელი ცარიელის პურით ძლივს ასაზრდოებს ცოლშვილსო.“ ამისთანა გაჭირვებულს მდგომარეობაში სამღვდელოებას აღარ სცალიან იფიქროს შვილების განათლებისათვის, მაგალითებრ, ერთის საბლაღოჩინოს ხუთმეტს მღვდელში, დუშეთის მაზრაში, მხოლოდ ერთი ჰზრდის სკოლაში შვილებსა; მუდმივი ფიქრი და ზრუნვა ლუკმა პურის მოპოვებისათვის ხელს უშლის სამღვდელოებას აღასრულოს თავისი პირდაპირი წმიდა მოვალეობანი, და იძულებულ ჰყოფს წეს რიგის შესრულების დროს მიმართოს მოძღვრის და წმიდა ტრაპეზის მოსამსახურესათვის არა-საკადრისს ვაჭრობას თავისს სამწყსოსთან.

რადგანაც სამღვდელობა ასე მოუმზადებელია სამოძღვროდ როგორც ტაძრებსა, ისე სკოლებში, სწავლა-განათლების აღსადგენად, მომავალ სამღვდელოების განსავითარებლად, რომელთაც-კი შეხვდებათ მსახურება საექსარხოსოს განაპირა ადგილებში: აფხაზეთში, სვანეთში და ყარსის ოლქში, ძალიან საჭიროა გაიმართოს სასულიერო სასწავლებლები ერთი ყარსის ოლქში, ხოლო მეორე სუხუმის ეპარქიაში; რამდენიც მალე იქნება ეს აღსრულებული, იმდენად სასარგებლოა, რადგანაც ამ ადგილებში ერთობ საჭიროა განათლებულნი მღვდელნი და ამასთანავე სრულნი მცოდნენი ადგილობრივის ენებისა. სასწავლებლების უქონლობისა გამო ამ ადგილებში სასულიერო წოდების სწავლა-განათლებით განახლება შეუძლებელია, რადგან სამღვდელოთა შვილები სასწავლებლების სიშორისა გამო უსწავლელად რჩებიან და ძალა-უნებურად რჩებიან მეურნეებად, ანუ გლეხთა საზოგადოებაში ეწერებიან.

ს. მ.

◆ ◆

წერილი დუშეთის მაზრიდგან

მოვიდა შემოდგომა და მოახლოვდა ახალგაზდათა სამხედრო სამსახურში გაწვევის დრო. თუ ბევრი ამ დროს დარდითა და გულის ფანცქალით მოელის, უფრო ბევრი თუმცა საიმისოდ არა ჰშიშობს და დარდობს, მაგრამ სურვილი-კი სამხედრო ბეგრის თავიდგან აცილებისა საერთოდ ყველას აქვს და არც აკლებს მეცადინეობას, რომ ამ ბეგრის გადახდა თ[illegible]იდგან აიცილონ, კანონიერის გზით იქნება ესა, თუ უკანონოთი; ეს საერთო სურვილი სამხედრო სამსახურში გაწვეულთა, მათის მშობლებისა და ნათესავებისა ძალიან ხელს უწყობს და ფართო სარბიელს აძლევს ბოროტ-მოქმედებისათვის სხვა-და-სხვა გაიძვერა აბლაკატ-მედუქნეებსა და საზოგადოდ ისეთს ხალხს, რომლებიც ჩვეულები არიან, სადაც არ უხნავთ და არ უთესიათ, იქა ჰმკონ, და სადაც არც ნემსი შეუდვიათ, იქიდგან სახნისი გამოიღონ. თუმცა თავმჯდომარე სამხედრო ბეგარის საკრებულოსი და აგრეთვე ამ დაწესებულების ყველა წევრნი მზად არიან ყველას, ვისაც რამე სათხოვარი და გამოსაცხადებელი აქვს, სიტყვიერად მოუსმინონ, შეძლებისა დაგვარად დააკმაყოფილონ, მაგრამ ხალხი ამას როდი სჯერდება, მას ჯერ კიდევ ღრმადა აქვს ძვალ-რბილში გამჯდარი დიამბეგობისა და „ხასეღატლობის“ დროინდელი რწმენა, რომ ცალკე ნახვით, არზის დაწერითა და „აბლაკატის“ შემწეობით საქმეს როგორც უნდა, ისე მოატრიალებს. ამისთვის უკანასკნელ გროშს არა ჰზოგავენ, მეარზე აბლაკატებისაკენ გარბიან და ტყუილ-უბრალოდ ეყვლეფინებიან. ზოგიერთი აბლაკატები ძალიან დაგეშილები არიან ამ საქმეში და ათასს ხრიკსა ჰხმარობენ, რომ უბირი ხალხი როგორმე მახეში გააბან.

მე ვნახე შარშან ქვეშეთის საბოქაულოში მოწოდება ერთის ამ გვარის არა-მკითხე ვექილისა, ვინმე ბ—ლისა, რომელსაც ამოუწერია სამსახურში მიღებულთა სიიდგან უკანასკნელ ნომრებში მოყოლილები; ესენი იმ ჯარის-კაცთა მაგიერ იყვნენ მიღებულნი, რომლებსაც თუმცა ერგოთ, მაგრამ რადგან კენჭის ამოღების დროს არ დასწრებიან, ამის გამო შესამოწმებლები და მისაღებლები დარჩნენ, და იმათ მაგიერ სხვები მიიღეს; ეს ძალად ვექილი უცხადებდა, რომ რადგანაც სხვის მაგიერად ხართ მიღებულები, თქვენთვის არზის დაწერა არის საჭირო, რომ განთავისუფლდეთ, და იწვევდა ამისთვის თავისთან. რაღა თქმა უნდა, რომ ამ დარჩენილების შემოწმებისა და მიღების შემდეგ იმათ მაგიერ მიღებულები და აბლაკატის სიაში მოხსენებულები უარზოდა და უსაჩივროდაც გათავისუფლდებოდნენ და ამ გვარად მათთვის თუმცა არც არზა-საჩივარი და არც ვისიმე დახმარება საჭირო არ არის, მაგრამ ხსენებული აბლაკატი ძალიან ოსტატურად სარგებლობს ამ გარემოებითა და საწყალი ხალხი საწველ ძროხად გაუხდია. ყოველ წელიწადს ამ გვარის მოწოდებით მიჰმართავს ხალხსა, თან სიას ჰგზავნის აქეთ-იქითა, უწერავს საჩივრებსა და ბოლოს რაკი დარჩენილთა მიღების შემდეგ მათ მაგიერ მიღებულებს ათავისუფლებენ, უმეცარს ხალხს ისა ჰგონია, რომ ეს სულ ამ გულ-მტკივნეულის აბლაკატის მეცადინეობითა და შემწეობით, ხდებაო.

სასურველია, ბ-ნმა თავმჯდომარემ აუხსნას ხალხს, რომ დარჩენილთაგან ვინც მიყვანილი იქნება და სამსახურისთვის გამოსადეგი აღმოჩნდება მათ მაგიერ წაყვანილები უარზო-უსაჩივროდაც განთავისუფლდებიან, იქნება მაშინ მაინც მიხვდეს ხალხი, რომ მას ამ შემთხვევაში ცუდ უბრალო ხარჯი მოსდის და სტყუვდება.

ამ თვის დამდეგს სოფელ კენკაანთკარის მცხოვრების მათე მზარეულიშვილის სახლს დაეცა ოთხი შეიარაღებული და ყაბალახით პირ-დაბურული ავაზაკი, რომლებმაც დასჭრეს ერთი დედაკაცი, ძუძუთა ბავში, რომელმაც თურმე შიშის გამო ტირილი მორთო, ცეცხლში ჩააგდეს და მშობლებმა ცოცხალ-მკვდარი ძლივს გადაარჩინეს. ბოროტ-მოქმედებმა წაიღეს ყველაფერი, რაც-კი სახლში იპოვეს: ფული, ვეჯი და ტანისამოსი. ეს ამბავი შეატყობინეს მაზრის უფროსს, რომელმაც ავაზაკებს გამოუყენა მაზრის სასამართლოს თარჯიმანი ბ-ნი კობიაშვილი და ასისთავი თავ. ფაღავა. ავაზაკებთაგან ორი აღმოჩნდა გორის მაზრის სოფელ მალჯიყაანთ-კარის მცხოვრებნი ქისი და ესტა მალჯიყაშვილები. პირველი მათგანი კიდეც შეიპყრეს და ციხეშია დამწყვდეული.

გარეშე მაყურებელი

◆ ◆

რუსეთი

—

გაზ. „Пет. Л.“-ი იუწყება, რომ ამ ახლო მომავალში პეტერბურგს მოვა გამოჩენილი ამერიკელი მწერალი მარკ ტვენიო.

— „Торгово-пром. газ.“-ი სწერ, ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ობოლთა სასამართლოები გაუქმებულ იქმნასო.

— როგორც უკვე უწყიან მკითხველებმა წელს შიდა რუსეთის 9 გუბერნიაში—ყაზანის, სიმბირსკისა, ვიატსკისა, სამარისა, სარატოვისა და სხვა გუბერნიებში, ცუდი მოსავალი იყო. განსაკუთრებით ამ გუბერნიებში საქონელია დიდს გასაჭირში, რადგანაც მცხოვრებელთ იმათი საკვები სრულიად არაფერი მოეპოვებათ. აუარებელი საქონელი დაიხოცა კიდეც და მრავალიც დაიხოცებოდა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო არ დაეხმარებოდა მცხოვრებლებს და არ ეყიდნა თავის ხარჯით საქონლისათვის საჭირო საკვები. სამინისტრომ უკვე იყიდა და გაგზავნა გლეხებისათვის დასარიგებლად: პერმის გუბერნიაში—252 ათასი ფუთი დიკა, ვიატსკის გუბ.—ამდენივე, ყაზანისა—369 ათასი ფ., სიმბირსკისა—180 ათ. ფ., სამარისა—378 ათ. ფ., სარატოვისა—126 ათასი ფ., უფისა—243 ათ. ფ. გარდა ამისა ფულად გაეგზავნა გუბერნატორებს საკვებისავე შესაძენად: პერმის გუბერნატორს—188,500 მანეთი, ყაზანისა—424,800 მ., სიმბირსკისა—206,300 მან., სარატოვისა—98,000 მან. და უფისა—553,500 მან. აზრადა აქვთ აგრედვე იყიდონ ცხენები და სხვა საქონელი და დაურიგონ გლეხებს. ამ აზრით სამინისტრომ გაუგზავნა 30 ათასი მან. პერმის გუბერნატორს, ამდენივე—ვიატსკისას, 70 ათას. მან.—ყაზანისას, 40 ათას. მან.—სიმბირსკისას, 70 ათას. მან.—სამარისას, 30 ათ. მან. სარატოვისას და 30 ათ. მან.—უფისას. თუ ეს ფული საკმაო არ იქმნება, კიდევ გადასდებენ.

— ამას წინად ელატმის ოლქის სასამართლოს ერთი მეტად უცნაური საქმე გაურჩევია. ბრალი ედებოდა სამს ქალს: ოლგა მიშინას, პელაგეა ზიზინას და მარიამ კოშჩინსკაიას. ოლგა მიშინა, 20 წლის ქალი, როდესაც ვიღაც პ.—სთან მოახლედ ყოფილა, ფეხმძიმედ გამხდარა. რადგანაც ქალს ამ ამბის გამჟღავნება არ სდომებია, ამიტომ გლეხის ცოლის პელაგეია ზიზინასათვის მიუმართავს და უთხოვნია, მარჩიე, როგორ მოვიქცეო. ამ უკანასკნელს კიდევ თავისი ძმა დაუყოლიებია, მიშინა ცოლად შეირთეო, იმის ფეხმძიმობა-კი არ გაუცხადდებაო. ისიც დათანხმებულა და შეურთავს. შემდეგ სადღაც შორს წასულა სამუშაოდ. არ გასულა ბევრი ხანი, ზიზინას გამოუცხადებია თავისს რძლისათვის, ამ სახლშივე მცხოვრები, ჩვენი მეზობელი, მარიამ კოშჩინსკაია თანახმაა იშვილოს შენი შვილიო, ისე კი, რომ ეს ამბავი არავინ გაიგოს და ყველას ეგონოს, რომ ეს შვილი თვით იმას გაუჩნდაო. რძალი თანახმა გამხდარა. მაშინ მარიამ კოშჩინსკაიას გამოუცხადებია ქმრისა და ნათესავებისათვის, რომ ფეხ-მძიმედ ვარო, მაგრამ რომ სიცრუე არავის შეეტყო, მუცელზედ ბალიშებს იდებდა და ხელსახოცებს იხვევდა თურმე. 1897 წ. 13 მაისს ოლგა მიშინა კოშჩინსკაიას ბინაზედ მისულა, იქ ბავშვი უშობნია და მაშინვე წასულა, ხოლო მარიამ კოშჩინსკაიას გამოუცხადებია, რომ შვილი მეყოლაო. მოუწვევიათ მღვდელი, მოუნათლავთ ბავშვი და ჩაუწერიათ წიგნებში როგორც მარიამ და პეტრე კოშჩინსკაიას შვილი. მაგრამ რამდენსამე ხნის შემდეგ თვით კოშჩინსკაია გამხდარა ფეხ-მძიმედ და 26 ოქტომბერს კიდეც გასჩენია ქალი. ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილ კოშჩინსკაიას რჩევისათვის იმავე ზიზინისათვის მიუმართავს, რომელიც დათანხმებულა მაგ ქალს შვილად მე ავიყვანო. ამ აზრით ზიზინას გამოუცხადებია ნაცნობებისათვის, რომ ქალი მეყოლაო. მაგრამ ბავშვების გაცვლა-გამოცვლის ამბავს ღვდლის ყურამდე მიუღწევია, რომელსაც ყოველივე მამასახლისისათვის გამოუცხადებია. გამოძიება დაუწყიათ და საქმე ოლქის სასამართლომდე მისულა. სასამართლოს სამივე ქალი გაუმართლებია.

◆ ◆

უცხოეთი

—

საფრანგეთი. ბრისონის სამინისტრო პარლამენტის შეკრების პირველს დღესვე დაეცა. პალატამ 32 ხმის უმეტესობით უნდობლობა გამოუცხადა მას. წინაზედ მართალია დადიოდა ხმები, დრეიფუსის საქმე დაამხობს სამინისტროსო, მაგრამ ასე ადრე თუ მოესწრობოდა მას სიცოცხლე, არავის სჯეროდა. პირ იქით, პარლამენტის შეკრების წინა დღეებში იმასაც-კი ამბობდნენ, რომ ზომიერ რესპუბლიკელთა მეთაურები დახმარებას შეჰპირდნენ ბრისონსო. მაგრამ ეს ხმები ყველა ტყუილი გამოდგა და დეპუტატთა პალატა შეიკრიბა თუ არა, სამინისტრო ერთ დღესაც ვერ გაუმაგრდა მას.

ყველა მინისტრებზედ ადრე სამხედრო მინისტრი შანუანი შეშინდა და უბრძოლველად დაჰყარა ფარ-ხმალი. დეპუტატმა დერულედმა ჩვეულებისამებრ რა-კი შანუანსაც გადაჰკრა მათრახი, ამ უკანასკნელმა არც აცივა, არც აცხელა, წადგა და პალატას მოახსენა შემდეგი: „სამხედრო მინისტრის პორტფელი მივიღე მე მხედრობის უმთავრეს წარმომადგენელთა თანხმობით და ნება-

უფლობით. დრეიფუსის საქმის შესახებ მე სრულებით ვეთანხმები ჩემს წინამოადგილეთ. ეხლა მე ისლა დამრჩენია, რომ მხედრობის პატივი და სახელი პალატას მივანდო, და აქ, ამ ტრიბუნიდგან ვაცხადებ, რომ სამსახურს თავს ვანებებო“.

შანუანის საქციელმა ბევრი გააკვირვა. სხვა მინისტრებს თუ არ ეთანხმებოდა ის დრეიფუსის საქმის შესახებ და კავენიაკის და ცურლინდენის თანამოაზრე იყო, მაშას ვინ ატანდა, რათ ჰკიდებდა ხელს სამხედრო მინისტრის პორტფელს ბრისონის კაბინეტში, ანუ პალატის შეკრებას რას უცდიდა, რატომ მანამდის არ გადადგა სამსახურიდგან. ეს კიდევ არაფერი, მაგრამ საქმე ის არის, რომ როცა რომელიმე მინისტრი სამსახურს თავს ანებებს, მინისტრ-პრეზიდენტს უცხადებს თავისს გარდაწყვეტილებას და ეს უკანასკნელი-კი რესპუბლიკის პრეზიდენტს მოახსენებს ხოლმე. შანუანი-კი სულ სხვა ფრივ მოიქცა: იმან ჯერ პალატაში განაცხადა სამსახურიდგან გავდივარო და შემდეგ რესპუბლიკის პრეზიდენტთან წავიდა; როგორც ეტყობა პრეზიდენტი ფორი ძლიერ უკმაყოფილო დარჩა შანუანის მოქმედებით. ეს უკანასკნელი არც-კი მიიღო პრეზიდენტმა და შემოუთვალა, რომ სამსახურიდგან გადადგომას თუ აპირებ, მთავარს მინისტრს განუცხადე და ის მომახსენებს მეო.

ასე და ამ რიგად რადიკალური სამინისტრო დაემხო საფრანგეთში; მისი ადგილი ჯერ ახალს სამინისტროს არ დაუჭერია. საქმეებს ჯერ-ჯერობით ისევ ძველი მინისტრები აწარმოებენ რესპუბლიკის პრეზიდენტის თხოვნით, ხოლო სამხედრო სამინისტროს—ზღვათა მინისტრი ლოკრუა. ყველაფერი საფრანგეთის ჩვეულების კვალობაზედ მოხდა, მხოლოდ გენერალ შანუანის საქციელი იყო არა ჩვეულებრივი. თავისის გადადგომის მიზეზად შანუანმა, სხვათა შორის, ისიც დაასახელა, რომ ჯარის კაცთ შეურაცხჰყოფდნენ პარიჟშიო. ეს მართალი არის, მაგრამ, როგორც პარლამენტშივე დამტკიცდა, ბრისონს და იუსტიციის მინისტრს სარრიენს არა ერთხელ უთქვამთ შანუანისთვის, რომ ვინც შენის აზრით ჯარს შეურაცხებას აყენებს, სამართალში მიეციო, მაგრამ მას ყოველთვის უარი განუცხადებია. გარდა ამისა სარრიენის მიერ ცალკე ცირკულიარიც იყო ამავე საგნის შესახებ სასამართლოების პროკურორებთან დარიგებული, მაგრამ შანუანს არც ამით უსარგებლნია არაოდეს. ასე რომ, ყოფილ სამხედრო მინისტრის ყოფა-ქცევა ლოღიკასაც მოკლებულია და საფრანგეთის პარლამენტარულ ჩვეულებასაც.

—

შვეიცარია. გაზ. „Temps“-ის კორესპონდენტის სიტყვით, ავსტრიის დედოფლის მკვლელს ლუკენის, რომელიც ჟენევის საპატიმროშია დამწყვდეული და რომელიც შვეიცარიის კანონით უნდა გაასამართლონ, არა სურს მისმა ვექილმა რომ ითხოვოს მისთვის სასჯელის შემსუბუქება. მისის აზრით მან ისეთი ბოროტ-მოქმედება ჩაიდინა და ისიც წინადვე ჰქონდა განზრახული, რომ სასჯელის შემსუბუქება შეუძლებელია. ლუკენი უარს ჰყოფს, ამ საქმეში ამხანაგები არა მყოლიანო; მე განვიზრახე და მევე მოვიყვანე ეს განზრახვა სისრულეშიო. ვექილსაც სჯერა თურმე ლუკენის სიტყვები. ამას გარდა მკვლელი ამტკიცებს,—არ ვიცოდი ჟენევის კანტონში სიკვდილით დასჯა გაუქმებული თუ იყოო. სამუდამო კატორგას მე გილიოტინას ვამჯობინებო, რამდენჯერმე განუმეორებია ლუკენის.

მკვლელი საპატიმროში სრულიად დამშვიდებულია; არავითარ სინიდისის ქენჯნას არა ჰგრძნობს თურმე. იმას აზრად აქვს ვექილის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვას, რომელშიაც დახატავს ანარქისტების სწავლა-მოძღვრებას. ის სრულებით არ აქცევს თურმე ყურადღებას იმას, მისი ვექილი რას იტყვის, ხოლო თავისს სიტყვას, რომლის თქმასაც აპირებს სასამართლოში, ისე უყურებს, როგორც ანარქისტთა კატეხიზმოს.

დამაკვირდი

ადამიანს თვისის სატრფოს სიყვარული მაშინ უფრო უცხოველდება, როდესაც ჰგრძნობს, რომ მისის დაკარგვის წამი მოახლოვებულიაო.

ბ. დ—შვილი

* * *

სიყვარული სათნოებაა დედაკაცისა.

ჟ. ზანდი

* * *

სხვას აქებდი, ხოლო ნუ გიყვარნ ქებაჲ.

ნიკოლოზ ტფილელი

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

გუშინ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო ამბავი ვენაში იმპერატორის ფრანც იოსების საბაქტეროლოგიო სადგურის მკურნალის მიულერის გარდაცვალებისა შავის ჭირისაგან.

14 ოქტომბერს ღამე ავად გახდა ამ სამკურნალოს მსახური ბარიში. 'იმ ლაბორატორიაში, სადაც ბაქტეროლოგები მეცადინეობდნენ, ბარიში არ შედიოდა და საქმეც არაფერი ჰქონდა, არც-კი უშვებდნენ. ბარიშის მოვალეობა იყო მხოლოდ იმ პირუტყვების მოვლა, რომელთაც ამ სამკურნალოში ინახავენ ბაქტეროლოგები, ვირთაგვებისა, ზღვის გოჭებისა და სხვ. ბარიში ლოთი იყო და ეჭვი არა აქვთ, რომ იმ დროს გახდა ავად, როდესაც ნაბახურევი იყო და პირუტყვებს ჰკვებავდა. პირველად მკურნალებს ეგონათ, რომ ბარიში ინფლუენციით გახდა ავადაო, მაგრამ ავადმყოფის ცოლს მ.ინც ურჩიეს დეზინფექცია მოეხდინა. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ მკურნალები დიდის სიფრთხილით მოეკიდნენ ბარიშის ავადმყოფობას. ამიტომ ეჭვი არ არის, რომ ამ დროს ბარიშის სენი სხვებს არ გადაედებოდა. მხოლოდ როდესაც ავადმყოფის მდგომარეობა უარესი შეიქმნა, სიცხემ უმატა და ფილტვების ანთებაც გამოაჩნდა, მაშინ ბარიში დააწვინეს ცალკე ოთახში და მკურნალმა მიულერმა დაუწყო წამლობა. ამ დროს ფიქრად არავის მოსვლია, რომ ბარიში შავის ჭირით ყოფილიყოს ავად, ბაქტეროლოგებმა იმისი ნახველი წაიღეს და უნდა გაესინჯათ, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ნახველში ინფლუენციის ბაცილებს აღმოაჩენთო. მაგრამ ამ ბაცილების მაგიერად ჰნახეს სულ სხვა ბაცილები, რომლებიც მერე შავის ჭირის ბაცილები აღმოჩნდა.

იმავე დღეს შუადღისას ავადმყოფი გარდაიცვალა. იმ წამსვე ყველა ოთახებში დეზინფექცია მოახდინეს. მკურნალის მიულერის ბრძანებით დასწვეს ყოველივე, რის დაწვაც-კი შეიძლებოდა. ოთახების კედლები ჩამორეცხეს სადეზინფექციო წამლით. ასეთისავე წამლებით გარეცხეს იატაკი და ჭერი. სხვა ოთახებში თუმცა ავადმყოფები იყვნენ, მაგრამ იმათში შავის ჭირით არავინ ვამხდარა ავად. საანატომიო ინსტიტუტში, სადაც გაჩნდა ეს სენი, დიდის ყურადღებით მოახდინეს დეზინფექცია. ამ შენობის ქვემო სართულში ინახება გარდაცვალებულთა გვამები, პირველ სართულში დარბაზია, სადაც გვამებსა სჭრიან. დანარჩენ სართულებში საბაქტეროლოგიო კაბინეტებია. მთელის ინსტიტუტის შენობა ამ ჟამად დაკეტილია და მხოლოდ ქვემო სართულში უწინდელივით ინახავენ გარდაცვლილთა გვამებს. რაც ლაბორატორიაში პირუტყვები იყო, სულ დახოცეს და დასწვეს.

რუსული გაზეთი „კურიერი“ სწერს ზოგიერთ დაწვრილებულს ცნობებს მკურნალის მიულერის შესახებ. მიულერი მხოლოდ ამ დღეებში შესრულდა 32 წლისა. დაბადებულია გრაცში და გრაცშივე დაუმთავრებია სწავლა. 1892 წლიდგან იგი ასისტენტად იყო მიუნხენში. შემდეგ მკურნალი მიულერი გაგზავნილ იქმნა ინდოეთში შავის ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველად. მიულერმა იქ დიდი სითამამე გამოიჩინა. ინდოეთში მიულერი სწამლობდა, სულ ცოტა რომ ვთქვათ, 300 ავადმყოფს, მაგრამ ეს საშიში სენი არ შეეყარა. ბარიში რომ ავად გახდა, მიულერი თავ-გადადებით უვლიდა და უეჭველია, რომ სწორედ 'ამ დროს შეეყარა შავი ჭირი. ამ ბოლოს დროს მიულერმა თავი შესწირა შავის ჭირის გამოკვლევას და ამხანაგებსაც კი არ ეკარებოდა.

მკურნალი მიულერი რომ გარდაიცვალა მკურნალმა პეხმა და ერთმა მონაზონმა გვამი გაახვიეს სულემით გაჟღენთილს ზეწარში და ჩაასვენეს კუბოში. კუბო სავსე იყო კარბოლის სიმჟავით გაჟღენთილ ნახერხით. ხის კუბო ჩასდვეს ლითონის კუბოში და გვამი საღამოს 6 საათზე დაასაფლავეს, განსვენებულის ნათესავნი დ მღვდლები კარგა მოშორებით იდგნენ.

ბევრი მკურნალი ამბობს, სრულიად არ იყო საჭირო ის ღონისძიებანი, რომელიც მიღებულ იქმნა სამკურნალოში, რადგანაც ვინც შავის ჭირით ავად გახდა, იმათ სრულებით არავინ ეკარებოდა და საგანგებო საშუალებამა და სხვა და სხვა ღონისძიებამ ხალხი მხოლოდ ძლიერ დააშინაო. ასე გასინჯეთ, მღვდელიც-კი ახლოს არ მისულა ჭირიან ავადმყოფებთან. სასანიტარო კომისია ამტკიცებს, რომ ამ გვარად შავი ჭირი არც გავრცელებულა როდისმე და არც გავრცელდებაო.

ლიუდოვიკო ავგუსტო ფრანკლმა მიულერის საფლავზე წარმოსთქვა სიტყვა ნოტნაგელის მაგიერად, რომელიც იმდენად იყო აღელვებული ამ ამბით, რომ ლაპარაკი რაშეეძლო. მკურნალმა ფრანკლმა სხვათა შორის სთქვა, რომ დიდი განსხვავებაა ბრძოლის ველზე მოკლულ გმირის დასაფლავებასა და მეცნიერების გულისათვის თავდადებულის გმირის შორისო. ბრძოლის ველზე მოკლულის კაცის გვამს დიდის პატივით აცილებენ სამარემდე, ხოლო მეცნიერებისათვის თავდადებულ კაცის გვამს-კი მხოლოდ ორიოდე მეგობარი თუ გაჰყვება სამარემდე.

სასამართლოს მატიანე

—

აზნაურის კონსტანტინე კობიაშვილის საქმე.

19 ოქტომბერს ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა აზნაურის კონსტანტინე კობიაშვილის საქმე, რომელსაც ქიტიაშვილის მოკვლა ჰბრალდებოდა.

ამ წლის ივნისის პირველს რიცხვებში დამნაშავე კობიაშვილი და მისი ნაცნობი ქიტიაშვილი, რამდენსამე დუქანში ქეიფის შემდეგ, „ზოლოტოი იაკორი“-ს („ოქროს ღუზა“) ტრაქტირში მისულან. აქ იმათ ცალკე მაგიდა დაუჭერიათ და ღვინის სმას შეჰქცევიან. ამ დროს იმათ ერთმანეთთან უსიამოვნება მოსვლიათ და წაჰლაპარაკებულან. ქიტიაშვილს ბოთლისთვის ხელი დაუვლია და კობიაშვილისთვის თავში დარტყმა სდომებია, ხოლო უკანასკნელს უთქვამს, რომ გარეთ გავიდეთ და იქ გიჩხუბოთო, თითონაც კარებისაკენ წასულა. ქიტიაშვილიც წამომდგარა ფეხზე და ბოთლით ხელში კობიაშვილს მიახლოვებია. ტრაქტირში დამსწრე ხალხი მივარდნია და ხელიდგან ბოთლი გამოუტაცნიათ. ამ დროს კობიაშვილი მივარდნია და მუცელში დანა უძგერებია, რის გამოც რამდენისამე წუთის შემდეგ ქიტიაშვილი გარდაცვლილა.

დამნაშავე თავისს დანაშაულობას უარს არა ჰყოფდა, მაგრამ ამტკიცებდა, რომ წინადვე არა მქონია განზრახული მისი მოკვლა და რადგან ძლიერ მთვრალი ვიყავი, არ მახსოვს როგორ და რისთვის დავჭერიო.

სასამართლომ კობიაშვილს ენისეის გუბერნიაში საცხოვრებლად გაგზავნა გარდაუწყვიტა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

20 ოქტომბერი

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული და დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული აბასთუმანში მიბძანდნენ.

რუსეთის კომისარის მიერ არჩეულ იქმნა შემდეგი ადგილები, საიდგანაც შეიძლება პარიჟში ნივთების გაგზავნა 1900 წლის გამოფენისათვის: მოსკოვში, ნიჟნი-ნოვგოროდში, სარატოვში, კიევში, ოდესსაში, ფოთში და ვარშავში. რუსეთისა, გერმანიისა და საფრანგეთის რკინის გზებმა თანახმობა გამოაცხადეს პარიჟში წასაღებ და იქიდგან უკან წამოსაღებ ფასს ნივთებისას მხოლოდ ნახევარს ავიღებთო.

ლონდონი. კანდიიდგან „Times“-ს დეპეშით სწერენ, რომ ოსმალეთის გუბერნატორმა განაცხადა, ოსმალეთის მთავრობისაგან ჯერ არავითარი ბძანება არ მომსვლია შესახებ კუნძულიდგან ოსმალეთის ჯარის წაყვანისა. ადმირალებმა შეატყობინეს გუბერნატორს, რომ 23 ოქტომბრის შემდეგ მთელს კუნძულზე ბოლო მოეღება ოსმალეთის ბრძანებლობასო.

პარიჟი. ამბობენ, რომ მინისტრებად შემდეგნი იქმნებიან: დიუპუი-საპჭოს თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი, ლებრე-იუსტიციის მინისტრი, ფრეისინე—სამხედრო, ლოკრუა—ზღვათა, დელკასე—გარეშე საქმეთა, პეტრალი—ფინანსთა, ლეიგი—საერო განათლებისა, დელომბრი—ვაჭრობისა, ვიჟე—მიწად-მოქმედებისა, კრაიცი—საზოგადო სამუშაოთა, პილიენი—ახალშენთა.

ლონდონი. ხუთშაბათს მომხდარ მინისტრთა ბჭობის გამო ზღვათა მმართველობას განზრახვა აქვს დემონსტრაცია მოახდინოს. მიზანი დემონსტრაციისა ჯერ ნამდვილად არავინ იცის ხოლო ამბობენ-კია, რომ კავშირი უნდა ჰქონდეს ინგლისსა და საფრანგეთს შორის სადავო საქმეებთანაო. ესკადრა პლიმუტის ყურეში ემზადება წასასვლელად.

პარიჟი. „Eclair“ ამტკიცებს, რომ კაბინეტი შესდგება თუ არა დელკასე გამოაცხადებს, რომ ფაშოდის გამო საფრანგეთი უთმობს ინგლისს, ხოლო ბარ-ელ-გაზელს-კი ვერ დაუთმობსო.

იერუსალიმი. გერმანიის იმპერატორი და იმპერატრიცა ბეთლემში წაბძანდნენ.

პარიჟი. სასამართლოს დერეფანებში ლაპარაკობენ, რომ საკასაციო პალატის ორი წევრი წავიდნენ სამხედრო სამინისტროში, რათა გაიცნონ შინაარსი საიდუმლო dossier-ისა; ლოკრუა აძლევს dossier-ის ჩვენებას და მზად არის ნება დართოს მხოლოდ ზოგიერთ საბუთის ქაღალდების წაკითხვითა.

განცხადებანი

Т-во БРОКАРЪ и К°.
ИЗОБРѢТАТЕЛИ
ПАРФЮМЕРІИ
„Персидская сирень“
О-де-колонъ.
Духи. ✤ Мыло.
Просимъ остерегаться поддѣлокъ.
(11—მ—6)

ДАРОМЪ
РАЗДАЮТСЯ ПОРТРЕТЫ
писанные карандашомъ-верескледомъ

Чтобы распространить въ Россіи свои прелестные портреты, писанные Карандашомъ-Верескледомъ, АРТИСТИЧЕСКОЕ ОБЩЕСТВО ПОРТРЕТОВЪ въ Парижѣ СОВЕРШЕННО БЕЗПЛАТНО напишетъ всякому читателю или подписчику нашей газеты портретъ Карандашомъ-Верескледомъ большой цѣнности. Для того это объявленіе должно быть отрѣзано и прислано вмѣстѣ съ Вашею фотографіею, по которой Вашъ портретъ долженъ быть написанъ, въ опредѣленный 25-дневный срокъ, считая съ настоящаго числа журнала, и ежели лицо предложитъ свою готовность рекомендовать наше Общество между своими родственниками и знакомыми. Просимъ писать четко Вашу фамилію и адресъ на спинкѣ фотографіи и прислать ее черезъ почту подъ слѣдующимъ адресомъ: Mon TANQUEREY, Directeur de la SOCIÉTÉ ARTISTIQUE DE PORTRAITS, 9, rue de St-Pétersbourg, Paris (France) — Парижъ (Франція). — Ваша фотографія будетъ Вамъ возвращена безъ повреждения вмѣстѣ съ большимъ портретомъ, какъ только послѣдній будетъ готовъ.
(11—მ.—2)

Дозволено цензурою, Тифлисъ 20 го Октября 1898 г
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე